

საქართველოს პირველი არხი

 ITV.GE

2021 წლის

პირველი
კვარტლის
ანგარიში

2021 წლის პირველი კვარტლის ანგარიში


პირველი არხი - უყურა და უსმინა ქართულს

გნივწველოვანი სიახლეები/აუთივობები

კონსტრუქციული ახალი ამბები

საანგარიშო პერიოდში, **პირველმა არხმა** კონსტრუქციული ახალი ამბების სასწავლო კურსებში მონაწილეობისთვის ჟურნალისტებისა და პროდიუსერების შერჩევა დაიწყო.

საქართველოს პირველი არხი ჟურნალისტებსა და პროდიუსერებს კონსტრუქციული ჟურნალისტიკის შესწავლის შესაძლებლობას აარუსის უნივერსიტეტში აძლევს. **საქართველოს პირველი არხის** თანამშრომლები დანიაში ეტაპობრივად გადამზადების თვენახევრიან კურსს გაივლიან. პროექტში პირადად ჩართულია ულრიკ ჰააგერუპი - კონსტრუქციული ახალი ამბების ინსტიტუტის ჟურნალისტი, დამფუძნებელი და ხელმძღვანელი. ის, ასევე, არის კონსტრუქციული ახალი ამბების გამოცემის ავტორი. დანიაში გადამზადების კურსი ნოემბერში დაიწყება, მანამდე კი, კონსტრუქციული ახალი ამბების შესავალზე, ულრიკ ჰააგერუპი მაისში ონლაინ-სემინარს ჩაატარებს, აგვისტოში კი, საქართველოს ეწვევა და ორდღიანი ვორქშოპი გაიმართება საზოგადოებრივი მაუწყებლის ნიუსრუმში.





პირველი არხი - სცენა

პირველი არხის ახალი პროექტი „პირველი არხი - სცენა“ - პლატფორმა, რომელიც ყველა საშემსრულებლო ხელოვნებას ერთ ციფრულ სივრცეში აერთიანებს.

პანდემიის გამო, სახელოვნებო სფერო მონყვეტილია შესაძლებლობას, ისარგებლოს გამოხატვის ჩვეული ფორმებით. საზოგადოებრივი მაუწყებელი მას ონლაინსივრცეში სთავაზობს ალტერნატივას, რომელიც, ერთი მხრივ, უკვე არსებული აუდიტორიის შენარჩუნებაში დაეხმარება, მეორე მხრივ, საშუალებას მისცემს, მოიზიდოს სრულიად ახალი სეგმენტი.

[Itvscena.ge](http://itvscena.ge)-ზე შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ქართველი შემსრულებლის კონცერტის ჩანაწერების, ქართული ფილმების, თეატრალური წარმოდგენების ნახვა, გამოფენების, ცნობილი ქართველი ფოტოგრაფების ნამუშევრების დათვალიერება.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სტრატეგია და ხედვა

შეიქმნა საზოგადოებრივი მაუწყებლის [სტრატეგიის და ხედვის დოკუმენტი](#), რომელიც მოიცავს პირველი არხის განვითარების სტრატეგიას სხვადასხვა მიმართულებით, ძირითად ღირებულებებს, მიზნებს, ასევე წარმოდგენილია არხის ხედვა.

კელი დეგნანის ვიზიტი

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში [კელი დეგნანი საზოგადოებრივ მაუწყებელს](#) ესტუმრა და საქართველოს პირველი არხის სამუშაო პროცესს გაეცნო. როგორც კელი დეგნანი აღნიშნა, საზოგადოებრივი მაუწყებელი ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნებისმიერ ჯანსაღ დემოკრატიაში.

ეუთო/ოდირის ანგარიში

[ეუთო/ოდირის ანგარიში](#) - "ყველა კერძო მაუწყებელი იყო აშკარად მიკერძოებული, მაშინ, როდესაც ძირითად კანდიდატებს საზოგადოებრივ არხებზე დაეთმოთ შედარებით თანაბარი დრო, ძირითადად ნეიტრალური გაშუქებით"

BBC - 50:50

გენდერული ბალანსის დაცვის საკითხებზე [პირველმა არხმა „ბიბისი“-სთან თანამშრომლობა დაიწყო](#).

Walt Disney

Walt Disney-ს ანიმაციური ფილმების გახმოვანებისა და სიმღერების ქართულენოვანი ვერსიების შესაქმნელად გამოცხადებული კონკურსის [გამარჯვებულები გამოვლინდნენ](#).

ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით EBU-ს ვებინარი

ევროპის მაუწყებელთა კავშირმა (EBU) ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ვებინარი ჩაატარა, რომელიც პირველი არხის დირექტორმა, EBU-ს გენდერული თანასწორობის ჯგუფის ხელმძღვანელმა - თინათინ ბერძენიშვილმა [გახსნა](#).

ახალი სტუდია

2020 წლის დეკემბერში მაუწყებელმა დაგეგმა ტელევიზიის ტერიტორიაზე არსებული სტუდიებისა და ამ სტუდიებში მიმდინარე გადაცემების ჩანერების სტრუქტურის შეცვლა. აქედან გამომდინარე, მიღებული იქნა "ც სტუდიის" რეკონსტრუქციის და ვიზუალური მხარის განახლების გადაწყვეტილება, რომ პირველი არხის ყველა, ყოველდღიური, პირდაპირ ეთერში მომუშავე გადაცემა მოქცეულიყო ერთ სივრცეში. პროექტი წარმატებით განხორციელდა და დღეს შემდეგი პროექტები: "ახალი დღე", "პირადი ექიმი", "ტაიმ აუტი", "დღის კოდი", "ბიზნეს პარტნიორი" მაუწყებლობენ განახლებული სტუდიიდან.

გემორანდუმი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან

საზოგადოებრივ მაუწყებელსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი [გაფორმდა](#).

გამოცხადებული მსხვილი ტანდარაბი

ტექნიკური და ტექნოლოგიური გადაიარაღების ფარგლებში გამოცხადდა ორი ტენდერი.

<https://bit.ly/3fk8GQ0> | <https://bit.ly/3w3Ae2a>

სააღდგომო ლიტურგიის პირდაპირი ტრანსლაცია სამაგისტრო საკათედრო ტაძრიდან

პირველი არხის ეთერით იხილა მაყურებელმა სააღდგომო ლიტურგიის პირდაპირი ტრანსლაცია სამების საკათედრო ტაძრიდან.

დავით სოკოლოვის ვარსკვლავი

ცნობილ ტელეწამყვანს, დავით სოკოლოვს პირველმა არხმა მთაწმინდის ტელეანძასთან [ვარსკვლავი გაუხსნა](#).

ქარის მუსიკოსების ფესტივალი

პირველი არხის ორგანიზებით გაიმართა [ქარის მუსიკოსების უნიკალური ფესტივალი](#).

გაღია

ტელე / რადიო / ონლაინ

პირველი სატელევიზიო დებატები საპარლამენტო არჩევნების შემდეგ

პირველი სატელევიზიო დებატები საპარლამენტო არჩევნების შემდეგ - ოპოზიცია და მმართველი გუნდი ერთმანეთის პირისპირ **საქართველოს პირველი არხის** პირდაპირ ეთერში, გადაცემაში „თავისუფალი ხედვა - დებატები“.

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შექმნილი პოლიტიკური ვითარების ფონზე, უფრო მეტად იძენს მნიშვნელობას ოპონენტებს შორის საჯარო დისკუსიისთვის ნეიტრალური პლატფორმის არსებობის აუცილებლობა.

პოლიტიკური აქტორების, როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის თანაბრად და ნეიტრალურად გაშუქების უზრუნველსაყოფად, **საქართველოს პირველმა არხმა** პარტიებს შესთავაზა სატელევიზიო ეთერი საჯარო დისკუსიისთვის. პოლიტიკურ სუბიექტებს შორის დებატების რეგულარული ფორმატი ქმნის მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობისა და დისკუსიის პლატფორმას, რაც უკიდურესად საჭიროა პოლიტიკური პროცესის დეესკალაციისთვის.



ტელესკოლა

30 მარტს, ქართულ სატელევიზიო სივრცეში უპრეცედენტო და საერთაშორისოდ აღიარებული პროექტი „ტელესკოლა“ [ერთი წლის გახდა](#).

2021 წლის იანვრიდან მარტის თვის ჩათვლით, „პირველი არხი - ტელესკოლის“ ეთერში გადაიცემოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მომზადებული ტელეგაკვეთილები, რადგან სწავლა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში კვლავ დისტანციურად ან ნახევრად დისტანციურად მიმდინარეობდა. პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით, ყველა საგანი ტელე-ეთერში 6 საათიან საეთერო ზოლად იყო განწერილი. მნიშვნელოვანია, რომ გაკვეთილები გათვალისწინებული იყო ეროვნული უმცირესობისთვის, როგორც აზერბაიჯანულ, ასევე სომხურ ენებზე.



ტელეგაკვეთილების პარალელურად გაგრძელდა პროექტები „ინგლისური ყველასთვის“, რომელიც მომზადდა საქართველოს განათლების სამინისტროსა და „English book education“-თან პარტნიორობით; „ქართული ჟესტური ენის გაკვეთილები“ - რომლის მიზანია მარტივად და სახალისოდ ასწავლოს მაყურებელს ჟესტური ენა; პროექტი „როგორ გავაკეთოთ“ - რომელიც ბავშვებში კრეატიული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს.

“ტელესკოლის” და ირლანდიის საელჩოს ინიციატივა

პირველი არხი - ტელესკოლის, საქართველოს საელჩოს ირლანდიაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და დუბლინის საკვირაო სკოლის „ლამპარი“ ორგანიზებითა და თანამშრომლობით, „ტელესკოლის“ პედაგოგებმა გაკვეთილები უცხოეთში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდებისთვის [ჩაატარეს](#).

არხი აუდიტორიისთვის მომავალშიც უამრავი საგანმანათლებლო გადაცემის შეთავაზებას გეგმავს.

საქსტატის კვლევის მიხედვით გასული წლის მარტში ტელესკოლის გაკვეთილებს მოსწავლეების 57.3 % უყურებდა.



პროექტი „არავალფაროვანი საქართველო“

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ამზადებს ყოველდღიურად 4 საინფორმაციო გამოშვებას როგორც აზერბაიჯანულ, ისე სომხურ ენაზე. აღნიშნული საინფორმაციო გამოშვებები ტრანსლირდება შესაბამისი ონლაინ პლატფორმებით და ასევე, ქვემო ქართლის და სამცხე ჯავახეთის რეგიონალური ტელევიზიების საშუალებით.




მოამბის სინქრონული თარგმანი

საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა მთავარი საინფორმაციო გამოშვება „მოამბის“ სინქრონულ თარგმანა აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

მოამბის სინქრონული თარგმანის სექტობოქსები თავსდება პარალელურად, კონტენტი თავსდება ონლაინ პლატფორმებზე - პირველი არხის ვებ-გვერდის შესაბამის ენობრივ განყოფილებებში და ქვემოთ მითითებულ ფეისბუქ გვერდებზე:

პირველი არხი აზერბაიჯანულად - <https://www.facebook.com/BirinciKanal>

პირველი არხი სომხურად - <https://www.facebook.com/1tv.arajinalik/>



პროექტი „ჩვენი ქართული ენა“ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დახმარებით ხორციელდება და მიზნად ისახავს არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის პოპულარიზაციას.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა ონლაინ ოლიმპიადა ქართულ ენაში, გამოვლინდნენ გამარჯვებულები.

ასევე, მოსწავლეთა წახალისების მიზნით, ტარდებოდა ფეისბუქ ვიქტორინები. ვიქტორინაში მონაწილეობის მიღება შეუძლოთ აზერბაიჯანულ და სომხურ ენოვანი სკოლის მოსწავლეებს. ფეისბუქ ვიქტორინის გამარჯვებულებს გადაეცათ სერტიფიკატები.



სიახლეები

საეთრო ბადაში

“ვოისი”

პირველ არხზე საერთაშორისო მუსიკალური მეგა პროექტი [„ვოისი“ საქართველო დაიწყო](#). მსოფლიოში ყველაზე რეიტინგული მუსიკალური შოუ შედგება რამდენიმე ეტაპისაგან. კონკურსის ფარგლებში თავი მოიყარა ბევრმა საინტერესო მონაწილემ. ასევე, უნდა აღინიშნოს პროექტში მონაწილე მენტორების განსაკუთრებული შემადგენლობა: ნიკოლოზ რაჭველი, სტეფანე მღებრიშვილი, სალომე კორკოტაშვილი და ნიაზ დიასამიძე.

პროექტი იმყოფება ნახევარფინალების ფაზაში და 2021 წლის მაისის თვეში დასრულდება გრანდიოზული ფინალით.

“მასტარშაფის” მეხუთე სეზონი

2021 წლის მარტის თვეში, პირველი არხის ეთერში სტარტი აიღო კულინარიული მეგა შოუს მეხუთე სეზონმა.

“მაშველბის” მეორე სეზონი

2020 წლის სექტემბრის თვეში, პირველმა არხმა მაყურებელს წარუდგინა ტექნოლოგიურად ძალიან მაღალი ხარისხის საბავშვო ანიმაციური სერიალი, რომელიც შემეცნების თვალსაზრისითაც ძალიან მნიშვნელოვანი პროდუქტია და ანალოგი არ აქვს საქართველოს ტელევიზორებში.

2021 წლის აპრილის თვეში ეთერში გავა სერიალის [მეორე სეზონი](#).

მიმდინარეობდა მზადება პროექტებისთვის

“რანინას” მეოთხე სეზონი

მიმდინარეობდა მზადება საბავშვო მუსიკალური შოუ “რანინას” მეოთხე სეზონისთვის. უკვე შედგა ქასტინგები და პროექტის 10 მონაწილე არჩეულია. გრძელდება ინტენსიური რეპეტიციები და პროექტი მაყურებლის წინაშე წარდგება 2021 წლის შემოდგომაზე.

“ამ შაბათ-კვირას”

2021 წლის მაისში იგეგმება ახალი ყოველკვირეული გადაცემა პირდაპირ ეთერში. პროექტი ბადეში განთავსდება ყოველ შაბათსა და კვირას, 12:30-დან 14:00 საათამდე. გადაცემაში საუბარი იქნება მსუბუქ, შემეცნებით, სახელოვნებო და მაყურებლისთვის გასართობი ხასიათის თემებზე. გადაცემას ეყოლება სამი წამყვანი, რომელთა ვინაობა უკვე ცნობილია: ლიზა ბაგრატიონი, გიორგი შერვაშიძე და ლიკა ევგენიძე.

“დავით გორგილაძის აუთენტური სიმსუბუქე”

2021 წლის მაისის თვიდან, პირველი არხი გეგმავს ახალ ყოველკვირეულ პროექტს, სადაც გადაცემა “ახალი დღის” წამყვანი და მწერალი დავით გორგილაძე შემოგვთავაზებს ინტერვიუს საინტერესო და ცნობილ ადამიანებთან.

ინტერვიუები იქნება ორიგინალური ფორმისა და შინაარსის, რაც ვფიქრობ მაყურებლის დიდ ინტერესს გამოიწვევს. ოთხ რესპონდენტთან ინტერვიუ უკვე ჩაწერილია.

მთავარი სპორტული მოვლენები

- იანვრის შუა რიცხვებიდან, მუშაობა განაახლა ყოველდღიურმა სპორტულმა პროგრამამ „ტაიმ-აუტი“.
- თებერვლიდან განახლდა სპორტული რეპორტაჟები. კერძოდ, ტრადიციული, ფეხბურთში საკლებო გუნდების მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც ხუთივე კონტინენტის საუკეთესო კლუბები მონაწილეობენ. პირველი არხის ეთერით გადაივა ამ ტურნირის ნახევარფინალები და ფინალი.
- 2022 წელს თბილისი უმასპინძლებს კალათბურთში ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ ქვეჯგუფს. ამ ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის რანგში საქართველოს ნაკრებმა ორი საშინაო შეხვედრა გამართა სერბეთთან და ფინეთთან.
- ბერლინში გამართულმა ფინალური ეტაპის მონაწილე გუნდების კენჭისყრამ საქართველოს მეტოქეები გამოავლინა (ტრანსლაცია პირველი არხის ეთერში).
- წყალბურთში ჩემპიონთა ლიგის გათამაშების მესამე რაუნდი, რომელშიც საკმაოდ კარგად იასპარეზა „დინამო“ თბილისმა, პირველი არხის ეთერით გადაივა (სამი რეპორტაჟი).
- პირველად ქართული ფუტსალის ისტორიაში, საქართველოს ნაკრები 2022 წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იასპარეზებს. ამ საგზურის მოსაპოვებლად ჩვენმანაკრებმა შესარჩევი ეტაპის შეხვედრები მალაღმოდონებუ ჩაატარა და ქვეჯგუფში მეორე ადგილის დაკავებით საგზური მოიპოვა. ჩვენი

ნაკრების საშინაო და გასვლითი შეხვედრები, მაყურებელმა პირველი არხის ეთერით იხილა.

- ფეხბურთში მსოფლიოს 2024 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის სამი შეხვედრა გადაივა პირველი არხის ეთერით. შვედეთისა და საბერძნეთის გუნდებთან გასვლითი მატჩები შედგა, ხოლო 28 მარტს, თბილისში, დინამო არენაზე, საქართველო - ესპანეთის შეხვედრას წინ უძღოდა ერთსაათიანი სპეციალური მიმოხილვა ვეტერანი ფეხბურთელების და სპეციალისტების მონაწილეობით.

თელეფილმები

დასრულებული პროექტები

2021 წლის 8 თებერვალს ეთერში გავიდა ბესიკ გაფრინდაშვილისა და არჩილ შუბაშვილის, მერაბ კოკოჩაშვილის მონაწილეობით შექმნილი დოკუმენტური ფილმი სახელწოდებით „კორნელი კეკელიძე“.

დასრულდა და ეთერში გავიდა მიხეილ ბასილაძისა და შალვა შენგელის სერიული „საიდუმლო კარტოთეკა“ (მე-2 სეზონი). მე-4 ფილმი „კოლექტივიზაცია“ 1-ლი და მე-2 სერია;

„საიდუმლო კარტოთეკა“ (მე-2 სეზონი). მე-5 ფილმი „დიდი ტერორი“ 1-ლი და მე-2 სერია;

„საიდუმლო კარტოთეკა“ (მე-3 სეზონი). მე-6 ფილმი „ორგანიზაცია სამანი“ 1-ლი და მე-2 სერია;

„საიდუმლო კარტოთეკა“ (მე-3 სეზონი). მე-7 ფილმი „ქართული ლეგიონი“ 1-ლი და მე-2 სერია;

2021 წლის 28 თებერვალს დასრულდა ახალგაზრდა კინორეჟისორთა ხელშეწყობის პროგრამა „დებიუტის“ ერთ-ერთი გამარჯვებული მოკლემეტრაჟიანი ფილმის პროექტი „ლამის სკოლა“. რეჟისორი - გიორგი სამსიანი.

2021 წლის 4 მარტს დასრულდა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ივანე, ვირი „კოხტა“, ჩიტები და მიხეილი“ - რეჟისორი ელდარ შენგელაია; სცენარის ავტორები: ამირან დოლიძე, ელდარ შენგელაია.

მნიშვნელოვანი მოვლენები/ სიახლეები

მიმდინარეობდა ხუთსერიანი მხატვრული ფილმის პროექტის „უნკრების“ წინამოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები. რეჟისორი გიორგი ბარაბაძე, სცენარის ავტორები გიორგი ბარაბაძე, კოტე ჯანდიერი, შადიმან შამანაძის მონაწილეობით.

საეთეროდ მზადდებოდა ათსერიანი დოკუმენტური სერიალი „ერი და პრესა“ - რეჟისორი ანდრო ჭიაურელი, სცენარის ავტორი თამაზ ჯოლოგუა.

საქართველოს რადიო

„პოდკასტი - შენი აუდიოსივრცე“

EBU-ს მხარდაჭერით მომზადდა პოდკასტების სერია და ის უკვე ხელმისაწვდომია პლატფორმაზე www.itvpodcast.ge



ონლაინ მედია

MobileTV

პირველმა არხმა MobileTV- VOD მობილური აპლიკაცია ჩაუშვა. Digital First პრინციპით-აპი პოპულარული პროდუქტების პრემიერებს შესთავაზებს მომხმარებელს.



მაყურებლის უკუკავშირი

ონლაინმომხმარებელთა რაოდენობა დინამიკურად ზრდადია ყველა პლატფორმაზე:

საიტის 1tv.ge სტატისტიკა

I კვარტალი 2021	IV კვარტალი 2020
ვიზიტი საიტზე - 9,715,000	ვიზიტი საიტზე - 12,604,465
უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) - 88,000	უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) - 111,958
საშუალოდ დღეში ვიზიტი: 109,000	საშუალოდ დღეში ვიზიტი: 137,005
მაქსიმალური მაჩვენებელი - 191,000 (02/25/2021)	მაქსიმალური მაჩვენებელი - 241,000 (12/11/2020)

იუთუბარხების სტატისტიკა

I კვარტალი 2021	IV კვარტალი 2020
ნახვა - 32,000,000	ნახვა - 33,000,000
საშუალოდ დღეში ნახვა - 356,000	საშუალოდ დღეში ნახვა - 358,700
მაქსიმალური მაჩვენებელი - 530,000 (12 მარტი 2021)	მაქსიმალური მაჩვენებელი - 560,870 (29 ნოემბერი 2020)

დღევანდელი მდგომარეობით, Youtube-არხების სტატისტიკით, პირველი არხი ერთერთი ლიდერია ქართულ მედიაში.

ფეისბუქ-გვერდი - პირველი არხი

ვიდეოების საერთო ნახვა - 20,8 მილიონი - წინა 3 თვესთან შედარებით ნახვები დაკლებულია 21.8%-ით

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 612,500 - წინა სამ თვესთან შედარებით მომატებულია 44.3%-ით



გვერდის საერთო ლაიკების რაოდენობა 366,915- გაზრდილია 1.87%-ით



ჩატარებული კვლევები

- ჩატარდა ბავშვთა ასაკობრივი სეგმენტის თვისებრივი კვლევა ფოკუს ჯგუფების მეთოდით. კვლევის მიზანი იყო ქართული ანიმაციური ფილმ „მაშველები“-ს, როგორც პროდუქტის ხარვეზების აღმოჩენა და გამოაშკარავება, მისი შესაბამისობა სამიზნე სეგმენტთან, არსებული პოტენციალის და სამომავლო განვითარების მიმართულებების ძიება, საბავშვო სეგმენტთან საკომუნიკაციო ენის შემუშავება.

- მომზადდა კონკურენტი ტელევიზიების პროგრამული ბადის შედარებითი ანალიზი

მიმდინარეობს მონიტორინგი საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გაშუქებული ინფორმაციის პროგრამულ პრიორიტეტებთან შესაბამისობის გაზომვის მიზნით. სამუშაო მოიცავს მაუწყებლის ყველა პლატფორმაზე გაშუქებული თემების მონიტორინგს რაოდენობრივი კომპონენტებისა და მონვეული/ გაშუქებული სუბიექტების აღრიცხვით.

სტანდარტული მონიტორინგის გარდა მიმდინარეობდა მთავარი საინფორმაციო გამოშვების (მოამბე 21:00) და გადაცემა „ახალი კვირის“ ჩალრმავებული მონიტორინგი პირველი თებერვლიდან 31 მარტის ჩათვლით.

მომზადდა 2020 წლის მონიტორინგის ანგარიში და სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული საარჩევნო ანგარიშების ანალიზი:

- <https://bit.ly/3xay6VX>
- <https://bit.ly/3wdiEs5>

ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეები

2021 წლის პირველი კვარტალში გაგრძელდა 2018-2021 წლების ტექნიკური რეკონსტრუქციის გეგმის მიხედვით ჩასატარებელი სამუშაოები. კერძოდ ამ კვარტლის განმავლობაში ჩატარდა:

- მაუნყებლობის ავტომატიზაციის ახალი საეთეროს, სასერვეროს და სხვა ტექნიკური საშუალებების ტესტირება და საბოლოო კონფიგურაცია.
- მაუნყებლობის და წარმოების ინჟესტის აპარატურის და სისტემების ტექნიკური საშუალებების ტესტირება და საბოლოო კონფიგურაცია.
- მაუნყებლობის და მედიის ხარისხის კონტროლის ჯგუფის ტექნიკური საშუალებების და სისტემების ტესტირება და საბოლოო კონფიგურაცია.
- მაუნყებლობის ბადის დაგეგმარების/პროგრამირების დეპარტამენტის ტექნიკური საშუალებების და ტრაფიკ სისტემის ტესტირება და საბოლოო კონფიგურაცია.
- ჩამოთვლილი სისტემების ინტეგრაციის სამუშაო პროცესების საბოლოო კონფიგურაცია და დანერგვა.
- ჩამოთვლილი დეპარტამენტების, განყოფილებების, ჯგუფების ყველა თანამშრომლის ტრენინგები, ტესტირება და შერჩევა.
- ჩამოთვლილი სააპარატოების, საეთეროების და სხვა სისტემების ცალცალკე და ერთიანობაში მუშაობის ტესტირება ეთერის რეჟიმების ჩათვლით.
- უწყვეტი შიდა მაუნყებლობის წარმოება სრული დატვირთვით მაუნყებლობის ორივე არხით. (პირველი არხი და პირველი არხი ტელესკოლა)

ქსელის მოდერნიზაციისა და უსაფრთხოების ფარგლებში, განხორციელდა ინჰლემენტაცია ჩატარებული ტენდერების - დაიქსელა პირველი კორპუსი, დამონტაჟდა და დაკონფიგურირდა ქსელური კომუტატორები (Core, datacenter, access), როუტერები, ფაირვოლები და შესაბამისი მარშრუტიზატორები, უსადენო წვდომის წერტილები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ახალ ქსელზე იქნა დაერთებული როგორც არსებული სასერვერო ინფრასტრუქტურა, ასევე, (End User) მომხმარებელი. მიმდინარეობს სერვისების გადატანა ახალ ინფრასტრუქტურაზე.

2021 წლის I კვარტალში საზოგადოებრივი მაუნყებლის საჭიროებისთვის მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია მინი მსს-თვის (მოდრავი სატელევიზიო სადგურის) საჭირო ტექნიკური აპარატურის სახელმწიფო ელექტრონული ტენდერის განსახორციელებლად.

მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია განათების აპარატურის და აუდიო ტექნიკის სახელმწიფო ელექტრონული ტენდერის განსახორციელებლად.

იურიდიული სამსახურის ანგარიში

1. ხელშეკრულებების შესახებ

2021 წლის პირველ კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 241 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო/სასპონსორო და სხვ.).

2. სასამართლოში და საატლსრულებო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ

2.1. სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა 2021 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში:

№	მოსარჩელე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1.	ფ/პ ვახტანგ კანდელაკი	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	<ul style="list-style-type: none"> - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. - თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ვ. კანდელაკის სააპელაციო საჩივარი, ბათილად იქნა ცნობილი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანება და სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებელს“ დაეკისრა ვ. კანდელაკის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა. - გადაწყვეტილება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გასაჩივრდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომლის განჩინებით, საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. <p>- დავა დასრულებულია</p>
2.	ფ/პ ეკატერინე მაჭავარიანი	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება,	<ul style="list-style-type: none"> - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება და ბ) საზოგადოებრივი მაუწყებელს ე. მაჭავარიანის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა. - გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა ორივე მხარის მიერ სააპელაციო წესით. - თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. - ამ ეტაპზე საქართველოს უზენაესი სასამართლო განიხილავს მხარეთა საკასაციო საჩივრების დასაშვებობას.

3.	საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო	საჯარო ინფორმაციის გაცემა	<ul style="list-style-type: none"> - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. - გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში - სააპელაციო სასამართლოს მიერ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.
4.	ფ/პ ავთანდილ ძიძიგური	უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლიდან მოსარჩელისთვის 12 794 ლარის უკან დაბრუნება	<ul style="list-style-type: none"> - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა
5.	ფ/პ ნუგზარ რუხაძე	საავტორო ჰონორარის სახით 276 000 ლარის დაკისრება	<ul style="list-style-type: none"> - საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.
6.	შპს “სტუდია ფონოგრაფი“	სატენდერო კომისიის ოქმების და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა, შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ მოსარჩელის სასარგებლოდ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება ტენდერთან დაკავშირებით	<ul style="list-style-type: none"> - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი სატენდერო კომისიის ოქმები და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულება. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. - გადაწყვეტილება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში.
7.	ალექსანდრე ჯანდიერი	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება	<ul style="list-style-type: none"> - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. - ალ. ჯანდიერის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში.
8.	ალექსანდრე ფლენტი	პლაგიატის აღიარება, საავტორო უფლებების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურება 100 000 ლარის ოდენობით	<ul style="list-style-type: none"> - საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.
9.	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	საჯარო ინფორმაციის (კერძოდ, მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-201 მუხლით განხორციელებული შესყიდვების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებების) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება	<ul style="list-style-type: none"> - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებელს“ დაევალა მხოლოდ რეზიდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადაცემა მოსარჩელისთვის პერს. მონაცემების მითითების გარეშე (ანუ, დამტრისხული სახით). - იმ ნაწილში, რითაც არ დაკმაყოფილდა საიას სარჩელი, საიას-ს მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა სააპელაციო სასამართლოში და სააპელაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. - სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრებულია საკასაციო წესით.

10.	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	საჯარო ინფორმაციის (ტექნიკური გადაიარაღების სამოქმედო გეგმის) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება	- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
11.	ალექსანდრე ხოჯავა	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა. ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება; ბ) მოსარჩელე აღდგენილ იქნა დაკავებულ თანამდებობაზე; გ) საზოგადოებრივ მაუწყებელს ალ. ხოჯავას სასარგებლოდ დაეკისრა განაცდური ხელფასის ანაზღაურება. - სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილებით ალ. ხოჯავას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მას უარი ეთქვა სამუშაოზე აღდგენაზე, ხოლო, საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა კომპენსაციის გადახდა. - ამ ეტაპზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საზოგადოებრივ მაუწყებელს არ აქვს ჩაბარებული.
12.	ია მახარაძე	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება	- დავა დასრულდა მორიგებით. დავა დასრულებულია
13.	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აქტის ბათილად ცნობა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში სოციალური რეკლამის განთავსება	- მოცემულ საქმეზე სსიპ "საზოგადოებრივი" მაუწყებელი ჩართულია მესამე პირად. - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
14.	ანა ტურაბელიძე	დისციპლინური სანქციის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა	- სარჩელი დაკმაყოფილდა. - ამ ეტაპზე სასამართლოს გადაწყვეტილება საზოგადოებრივ მაუწყებელს არ აქვს ჩაბარებული.
15.	დონარა შონავა	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	- საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.
16.	მარიამ ბოლქვაძე	დისციპლინური სანქციის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება,	- საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.

17.	შპს "ბროდვასტ სოლუშენ"	დავების განხილვის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების და საზოგადოებრივი მაუწყებლის სატენდერო ოქმის ბათილად ცნობა, ტენდერში გამარჯვებულად აღიარება და შესაბამისი ქმედებების დავალება	- საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.
18.	შპს "მკს"	სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს - 20 123,24 ლარის დაკისრება	- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელს" დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა 3 000 ლარის ოდენობით, რაც გასაჩივრდა მხარეების მიერ აპელაციის წესით.
19.	გიორგი სუხიტაშვილი	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	- საქმე იმყოფებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში და მორიგების მიზნით, გადაეცა სასამართლო მედიაციას.
20.	მარიამ სონიშვილი	ვადის განსაზღვრის ნაწილში შრომითი ხელშეკრულების ბათილად ცნობა, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	- საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.
21.	1. ალექსანდრე მეტრეველი 2. გიორგი ბანძავა 3. დავით სიმონიშვილი	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება	- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ ა) ბათილად იქნა ცნობილი მოსარჩელეთა სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება; ბ) საზოგადოებრივ მაუწყებელს მოსარჩელეთა სასარგებლოდ დაეკისრა ერთჯერადი კომპენსაციის გადახდა. - გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. - სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოსარჩელეთა სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა (გიორგი ბანძავას ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რადგან ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა სამუშაოზე აღდგენის შესახებ მოთხოვნაზე). - საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრდა საკასაციო წესით, რომლის განჩინებით, საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი. - დავა დასრულებულია

22.	ნუგზარ ჩხაიძე	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება	<p>- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანება და საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა კომპენსაციის გადახდა</p> <p>- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, უარი ეთქვა საზოგადოებრივ მაუწყებელს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე, ხოლო, ნ. ჩხაიძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და საზოგადოებრივ მაუწყებელს დაევალა ნ. ჩხაიძის სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.</p> <p>- გადაწყვეტილება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრებული საკასაციო წესით.</p>
23.	<p>1. ქეთინო დეკანოზიშვილი</p> <p>2. ნათია შენგელია</p>	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება	<p>- ნ. შენგელიასთან მიმართებაში თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:</p> <p>1. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენ. დირექტორის ბრძანება ნ. შენგელიასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ;</p> <p>2. საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა ნ. შენგელიას სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა.</p> <p>3. სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.</p> <p>- გადაწყვეტილება გასაჩივრდა ორივე მხარის მიერ. სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში იქნა დატოვებული, რაც სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გასაჩივრდება კასაციის წესით.</p> <p>- ქ. დეკანოზიშვილთან მიმართებაში თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:</p> <p>1. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენ. დირექტორის ბრძანება ქ. დეკანოზიშვილთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ;</p> <p>2. საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა ქ. დეკანოზიშვილის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- ქ. დეკანოზიშვილთან მიმართებაში სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რითაც არ დაკმაყოფილდა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" და ქ. დეკანოზიშვილის სააპელაციო საჩივრები და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარდგენილი იქნა საკასაციო საჩივარი, რომელიც განუხილველად იქნა დატოვებული. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ განიხილა სარჩელი მხოლოდ სამუშაოზე აღდგენის და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში, რაც სრულად დაკმაყოფილდა.</p> <p>- გადაწყვეტილება გასაჩივრდება სააპელაციო წესით.</p>

24.	ლევან გულბანი	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება	<p>- თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება და საზოგადოებრივ მაუწყებელს მოსარჩელის მიმართ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში</p> <p>- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდა ლ. გულბანის სარჩელი, რაც გასაჩივრებული საკასაციო წესით.</p>
25.	<p>1. შალვა სამხარაძე</p> <p>2. ზურაბ ეჯოშვილი</p>	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება	<p>- თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ზ. ეჯოშვილთან და შ. სამხარაძესთან დაკავშირებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელები, მოსარჩელებს უარი ეთქვათ სამუშაოზე აღდგენაზე, ხოლო, საზ. მაუწყებელს დაეკისრა კომპენსაციის გადახდა, რაც გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოში.</p>
26.	ლევან ლეკვიშვილი	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება	<p>- საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.</p>

2.2 სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით არსებული საქმეების ნუსხა 2021 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში:

№	მოპასუხე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
